კორექტირებული პროექტის საექსპერტო შეფასება

ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მ/რ II, ი. პეტრიწისა და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის (ს/კ 01.10.06.006.278) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაპილზე.

შპს „არქი დიღომის“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით – ჩემს მიერ ექსპერტი–მშენებელი ნ. ჭკუასელი – ჯერ კიდევ 2019 წლის ივნის–ივლისში და ამჟამად 2022 წლის ივნისში (იგულისხმება პროექტის კორექტირება) შემოწმებული და შესწავლილი იქნა საექსპერტოდ წარმოდგენილი ქ. თბილისში, დიდი დიღომის მ/რ II ი. პეტრიწისა და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის ასაშენებელი (ამჟამად – მშენებარე) მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები (აგრეთვე კორექტირებული ნახაზები), ტერიტორიის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის, შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების სისტემის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები და „განმარტებითი ბარათი“ – შენობის მდგრადობის დადგენისა და კორექტირებული პროექტის „საექსპერტო შეფასების გაცემის მიზნით“.

დამკვეთი: შპს „არქი დიღომი“ – დირექტორი თენგიზ წულაია,
არქიტექტორი: სალომე ავალიანი
კონსტრუქტორი: დავით გიგინეიშვილი
ექსპერტი–კონსტრუქტორი: ნიკოლოზ ჭკუასელი

ასაშენებელი ნაგებობა შედგება 17 მიწისზედა და 3 მიწისქვეშა სართულისაგან, მიწისქვეშა სართულები განკუთვნილია ავტოსადგომებისათვის, ხოლო მიწისზედა სართულები – საცხოვრებელია. შენობა შედგება 2 ბლოკისაგან – C ბლოკის ზომებია (ღერძებში) – 46x15.4მ. D ბლოკის ზომებია 52,5x15,4მ. კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა გადაწყვეტილია როგორც ჩარჩოსებრ–კავშირებიანი მონოლითური რკინაბეტონის სისტემა დიაფრაგმებით.

სამშენებლო მოედნის გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობის დაფუძნება განხორციელდა 120 სმ სისქის რკინა–ბეტონის ფილით კენჭნაროვან გრუნტზე, რომლის ქვეშაც გათვალისწინებულია 40 სმ სისქის დატკეპნილი ხრეშის ფენის მოწყობა და 10სმ სისქის ბეტონის მომზადება. გრუნტის პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=2,5კგმ/სმ^2.

შენობის ყველა მზიდ კონსტრუქციაში გამოყენებულია ბეტონი კლასით B30, ხოლო წყალშეუღწევადობის მიხედვით შესაბამისად W_8 მარკის სულფატ მდგრად ცემენტებზე დამზადებული ბეტონები მოქმედი სტანდარტების კონტროლის გათვალისწინებით.

სამშენებლო მოედანი ხასიათდება გრუნტის წყლების არსებობით, რომელიც მიწის ზედაპირიდან 14.3÷15,8მ სიღრმეზეა.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და მოედნის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8–ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK-64 (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებებით – II.

ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 85კგძ/მ², ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვაა – 50კგძ/მ².

შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება შესრულდა სტატიურ (მუდმივი და დროებითი, ხანგრძლივი და ხანმოკლე დატვირთვები) და დინამიური „X“, “Y” და “Z” მიმართულებით, დიაგონალურ 45⁰ და 135⁰ მიმართულებით, აგრეთვე ქარის პულსაციური ზემოქმედებები „X“ და “Y” მიმართულებებით) ზემოქმედებაზე სერტიფიცირებული და ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის ЛИРА-САПР 2017 R₀-ის გამოყენებით (სალიცენზიო N92096856). რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია A500 და A240 C კლასის არმატურა, რომელიც შემოწმებული უნდა იქნას ყოველი შემოტანილი პარტიის ხარისხის (აქტის შედგენით).

პროექტის კორექტირება მოხდა შემდეგნაირად:

დიდი დიღომი, მ/რ II “C” და “D” ბლოკებზე განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილება: +49,60 ნიშნულზე „1-3“ ღერძებს შორის დაემატა ბინები (ტერასის ნაცვლად) და შემცირდა ტერასის ფართი 2 ღერძზე. ამავე ნიშნულზე დაემატა კოლონები. ასევე 52,78. ნიშნულზე „1“–„3“ ღერძებს შორის გაიზარდა გადახურვის ფილის გაბარიტები. (იხ. არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები).

„განმარტებით ბარათში“ სამართლიანადაა მითითებული შენიშვნები და რჩევები, რომელთაც ჩვენ, ვიზიარებთ და დამატებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია – მეტი პასუხისმგებლობით დაიცვან მშენებლობისას უსაფრთხოების და ხარისხის პირობები,

ამრიგად შესრულებულია საკმარისი მოცულობის სამუშაო ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად მაღალი პროფესიონალურ–ტექნიკურ დონეზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის, შესაძლოა გაკეთდეს საინჟინრო–ტექნიკური ხასიათის საერთო დასკვნა.

დასკვნა

ქ. თბილისში, დიღმის მასივში, იოანე პეტრიწისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩებს შორის მდებარე მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის (ამჟამად მშენებარე) გაცნობისას, შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებისა და შედეგების ანალიზი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ კმაყოფილდება მდგრადობის, უსაფრთხოების შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები – მშენებლობის პროცესში აღნიშნული კორექტივების გათვალისწინებით, პროექტის მიმართ დადებითი შეფასება შესაძლებელს ხდის მიეცეს რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი: ინჟინერ–მშენებელი,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ–მეცნიერებათა კანდიდატი / ნ. ჭკუასელი/